



**თაღლითობა სასამართლო  
სისტემის გამოყენებით და  
გასანადგურებლად  
განწირული  
ქართული წამლები**



© შპს „სალხინო“ სამეცნიერო საბჭო, 2020  
ყველა უფლება დაცულია

მტკიცებულებათა კრებული გამოსაცემად მომზადდა  
გამომცემლობაში „საგა“

ISBN 978-9941-9685-8-7  
ყველა უფლება დაცულია



**საგა** – საქართველოს აკადემიური გამომცემლობა  
დავით აღმაშენებლის გამზ. №181-2, თბილისი, 0112  
ტელ.: (+995 32) 234.04.32  
ელ-ფოსტა: [pressacademic@gmail.com](mailto:pressacademic@gmail.com)  
[www.apgeorgia.com](http://www.apgeorgia.com)  
FB: Academic-Press-of-Georgia - სბბ

საქართველოს პრემიერ მინისტრს  
ბატონ **გიორგი გახარიას**

თბილისის საქალაქო სასამართლოს  
სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის  
თავმჯდომარეს ბატონ **სერგო მეთოფიშვილს**

უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს  
ქალბატონ **ნინო ქადაგიძეს**

გენერალურ პროკურორს  
ბატონ **ირაკლი შოთაძეს**

აღსრულების ეროვნული ბიუროს  
პოლიციის სამმართველოს უფროსს  
ბატონ **ვალერიან თუხარელს**

იუსტიციის უმაღლესი სამქოს მდივანს  
ბატონ **გიორგი მიქაუტაძეს** და  
საბჭოს ყველა წევრს  
შპს „სალხინოს“ სამეცნიერო საბჭოს

## **კერძო საჩივარი**

საკამათო არ არის, რომ საქართველოში მოქმედებენ დაჯგუფებები, რომლებიც ყველაფერს წარმატებულს ანადგურებენ, იმიტომ რომ ქვეყანა სწორი მიმართულებით არ განვითარდეს.

ჩვენ ვენდობით ბატონ პრემიერ მინისტრს გიორგი გახარიას და გვჯერა, რომ მისი აზროვნება და ქმედებები ქვეყანას წაადგება და გამოიყვანს არსებული მდგომარეობიდან.

თქვენს წარმოებაშია „შპს სალხინო“-ს განცხადება, სადაც სამართლიანობის აღდგენას ვითხოვთ, თანადგომას წამლების წარმოებაში.

ფარმაცევტული წარმოება „შპს სალხინო“-ს წარმოებული მედიკამენტების ეფექტურობა საკამათო არ არის თანამედროვე მეცნიერული თვალსაზრისით, ამიტომაც დამნაშავეები ანადგურებენ

წარმოებას თითიდან გამონოვილი ბრალდებებით, ცილისწამებით და სასამართლო სისტემის გამოყენებით. ეს ფაქტია და შავით თეთრზე იკითხება მოსამართლის 2015 წლის №2/3317-14 გადაწყვეტილებაში.

იშვიათი ადამიანები №2/3317-14 გადაწყვეტილების წაკითხვის შემდეგ ხვდებიან იმას, რომ აღნიშნული გადაწყვეტილება დაწერილია გამოძალვის მიზნით და მიზნად ისახავს სასამართლოს გამოყენებით სოლიდური მოგების მიღებას. აღნიშნულს ვერ ხვდებიან იმიტომ, რომ თაღლითობა სასამართლოს გამოყენებით ალბათ იშვიათი მოვლენაა კაცობრიობის ისტორიაში. ძნელია დაიჯერო ის ფაქტი, რომ მოსამართლის გადაწყვეტილებაში არსებული მათემატიკური მსჯელობა და განმარტებები მკითხველის თვალში ნაცრის შეყრის მიზნით კარგად დაწერილი სიცრუე (ბლეფა) და მიზნად ისახავს სასამართლოს გამოყენებით სხვისი ქონების მითვისებას.

ამიტომ, კიდევ მოგმართავთ თხოვნით და შევეცდებით ავხსნათ თუ რა გადაცდომებს აქვს ადგილი მოსამართლის მხრიდან 20-30-2015 წლის №2/3317-14 გადაწყვეტილებაში და იმიტომ უნდა იქნეს ბათილად ცნობილი აღნიშნული გადაწყვეტილება, იმიტომ უნდა მიიღოს კომპეტენტურმა პირებმა ახალი გადაწყვეტილება.

ვფიქრობთ, სასამართლო სისტემამ და სამართალ დამცველებმა, თითიდან გამონოვილი მიზეზებით არ უნდა დაფაროს ჩადენილი დანაშაული, რომელიც შეურაცყოფს ქვეყნის სამართლებრივ სისტემას, საერთაშორისო ხელშეკრულებებს, შეთანხმებებს და კანონს.

დამნაშავეები ვალის გამოსაგონებლად იგონებენ მათემატიკურ ქაოსს, რასაც მოსაართლე თავის გადაწყვეტილებაში იყენებს და თავისი ემმაკურად დაწერილი გადაწყვეტილებით გვაბრალებს 185 163,83 ლარის მითვისებას. მტკიცებულებად საკმარისია გადაწყვეტილების მე-5 გვერდიდან პირველი აბზაცის ამონარიდი: „საქმეში მტკიცებულების სახით წარმოდგენილი საგადასახადო დავალებებით, ასევე სალარო ორდერების მიხედვით, 2009 წლიდან 2013 წლის ჩათვლით, მოსარჩელემ მოსარგებლეს გადასცა თანხა 129 649 7 ლარის ოდენობით, ხოლო 2010 წლიდან 89 78 47 ლარის ოდენობით, სასაქონლო ზედნადებების შესაბამისად კი მოპასუხემ

მოსარჩელეს 2010 წლიდან 2013 წლის ჩათვლით, სულ მიაწოდა 672624 ლარის ღირებულების ფარმაცევტული პროდუქცია. ამდენად, არც მხარის მიერ წარმოდგენილი ურთიერთშედეგების აქტების და არც სხვა სახის საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით, არ დგინდება მოსარჩელის მიერ მოპასუხის მოტყუების ფაქტი“ განმარტავს მოსამართლე და ასეთი მსჯელობით ბრალს გვდებს 185 163,83 ლარის მითვისებაში.

სინამდვილეში ეს მსჯელობა ემშაკურად დაწერილი ბლეფია და მიზნად ისახავს სასამართლოს გამოყენებით სოლიდური მოგების მითვისებას.

გადაწყვეტილებაში ვალის გამოსაგონებლად შექმნილია მათემ-ატიკური ქაოსი და დაწერილია ტყუილი განმარტებები. მოსამართლე წერს, რომ საქმეში მტკიცებულებების სახით წარმოდგენილი საგადასახადო დავალებებით ასევე სალარო ორდერების მიხედვით 2009 წლიდან 2013 წლის ჩათვლით მოსარჩელემ მოსარგებლეს გადასცა თანხა 1 296 497 ლარის ოდენობით, ეს არის ტყუილი, ვინაიდან საქმეში დაცული საგადასახადო ქვითრებით 2009-2013 წლებში 1 009 960 ლარზე მეტი თანხის გადმორიცხვას ადგილი არ ქონია, რასაც ადასტურებს სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის განჩინება და 2018 წელს ჩატარებული აუდიტის სამსახურის დასკვნა.

ფაქტია, რომ გამოგონილი აღნიშნული 1296497 ლარი, რომ მართალი ციფრი ყოფილიყო მოსამართლეს არ დასჭირდებოდა ორ აზროვანი და ბუნდოვანი გადაწყვეტილების მიღება. მიუკერძოებელი მოსამართლე კანონის სრული დაცვით დაწერდა, რომ 2009 წლიდან 2013 წლის ჩათვლით მოსარჩელემ მოსარგებლეს გადასცა 1296497 ლარის ოდენობით, ხოლო მოპასუხემ სულ მიაწოდა 672624 ლარის პროდუქცია  $1296497 - 672624 = 623873$ . მიღებული ციფრის ღირებულების პროდუქცია იქნებოდა დასაკისრებელი.

ვინაიდან, ბულალტრული მონაცემებით და ბუნებაში არ არსებობს მტკიცებულება იმისა, რომ „შპს სალხინოს“ მომჩივანი „შპს ფარმაცევტული სახლი“-ს მიმართ ვალდებულება გააჩნია ვერ გამოიყენებდნენ საეჭვო მტკიცებულებად შედარების აქტს ცილისწამებისთვის და სულ სხვა გადაწყვეტილებას მიიღებდა მიუკერძოებელი მოსამართლე.

მოსამართლის 2015 წლის №2/3317-14 გადაწყვეტილებამდე მოპასუხისთვის ცნობილი არ იყო ის ფაქტი, რომ მოსამართლემ მტკიცებულებად გამოიყენა საექვო შედარების აქტი, რომელსაც იურიდიული ძალა არ ქონდა. ჩვენს მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და მოთხოვნები უარყო, თავისი ბუნდოვანი და ორაზროვანი მსჯელობით გამოგონილი ვალი დააფიქსირა 2010-2013 წლებს შორის შუალედში და ეშმაკურად განმარტა, რომ 2010 წლიდან თითქოს მოსარჩელემ 897 847 ლარი გადმოგვცა, ხოლო მოპასუხემ სასაქონლო ზედნადებების შესაბამისად 2010 წლიდან 2013 წლის ჩათვლით მიაწოდა სულ 672 624 ლარის ღირებულების პროდუქცია, რაც ასევე ტყუილია. ვინაიდან 2010 წლიდან 672 624 ლარზე მეტი თანხის გადმორიცხვას ადგილი არ ქონია.  $897847 - 672624 = 225223$ . მიღებული თანხა გამოგონებულია სასამართლოს გამოყენებით, რომ გაძარცვონ საზოგადოება.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად ცნო, ის რომ შპს „სალხინო“-ს საქმის მასალებით (გადახდის ქვითრებით) 1 009 960 ლარის მიღების ფაქტი უდასტურდება, ხოლო თავის მხრივ შპს „სალხინო“-ს საქმეში წარდგენილი სასაქონლო ზედნადებებით შპს „ფარმაცევტული სახლი+“-სთვის 673 274 ლარის მიწოდების პროდუქციას ადასტურებს, ამიტომ სააპელაციო პალატამ უცვლელი დატოვა პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება და ბრალი დაგვდო 336 683 ლარის მითვისებაში. (მტკიცებულება 2017 წლის 5 დეკემბრის განჩინება თანდართულ ჟურნალში გვ. 58, მუხლი – 11)

სააპელაციო პალატის განჩინება ეყრდნობა 2009-2013 წლების გადახდებს, 1 009 960 ლარს და 2010-2013 წლების სასაქონლო ზედნადებებს, 673 274 ლარის პროდუქციის მიწოდებას.  $1\ 009\ 960 - 673\ 274 = 336\ 686$  მიღებული სხვაობა იმიტომ არის, რომ სააპელაციო პალატის განჩინებამდე საქმეში წარდგენილი არ ყოფილა 2009 წელს შპს „სალხინო“-ს მიერ გამოწერილი და შპს „ფარმაცევტული სახლი +“-ის მიერ დამოწმებული 13 ერთეული სასაქონლო ზედნადებები, რითაც დასტურდება, რომ 2009 წელს მომჩივანისთვის მიწოდებულია 391 760 ლარის ღირებულების პროდუქცია.

სააპელაციო სასამართლოს განჩინების გამოტანის შემდეგ გაირკვა, რომ შპს „სალხინო“-ს ბუღალტერიიდან დაკარგული იყო 2009 წელს გამოწერილი 13 ერთეული სასაქონლო ზედნადები,

რომლებიც კანონის სრული დაცვით ამტკიცებს, რომ 2009 წელს მომჩივანისთვის მიწოდებულია 391 760 ლარის ღირებულების მედიკამენტები, რაც აბათილებს მომჩივანის მიერ გამოგონილ ბრალდებას და ამტკიცებს მათ დანაშაულებრივ ქმედებას.

მომჩივანი „ფარმაცევტიული სახლი“-ის დირექტორს იონა ქობულიას რადგანაც ეგონა, რომ გაანადგურეს ზედნადებები, გამოცხადდა გახარებული სააპელაციო სასამართლოში, უარყო შედარების აქტის საფუძველზე ვალის დაკისრება და გააკეთა განმარტება. გთავაზობთ ამონარიდს: „სადაო არ არის, მთავარი მარტივი მათემატიკაა, არავინ არ ჭირდება ამას. ყველა თანხები ბანკით არის გადარიცხული. ამას ხომ ვერ ვუარყოფთ, რომ ყველა პროდუქციის თანხა ბანკით არის გადარიცხული და არსებობს შემოსული პროდუქცია. არ შეიძლება ადამიანი ცდებოდეს ათჯერ. მე წინასწარ ვიხდი თანხას, რომ მას პრესკონფერენციები დაეფინანსებინა, ბიზნესი აენყო და სარეკლამო აქტივობა ყოფილიყო“ – დააბოლა მომჩივანმა სააპელაციო სასამართლოში.

ვინაიდან №2/3317-14 გადანყვეტილებით, აშკარა გახდა ჩადენილი დანაშაული მომჩივნებმა გადანყვიტეს გაენადგურებინათ 8 წლით დაძველებული სასაქონლო ზედნადებები და ამ ქმედებით დაეფარათ პირველ ინსტანციაში ჩადენილი დანაშაული სააპელაციო სასამართლოში.

აღნიშნული ზედნადებები მომჩივანის დავალებით უნდა გაენადგურებულიყო, მაგრამ შემსრულებელმა გადამალა სასაქონლო ზედნადებები და გამოაჩინა მხოლოდ მას შემდეგ, რაც სააპელაციო პალატამ პირველი ინსტანციის გადანყვეტილება ძალაში დატოვა და ბრალი დაგვდო 336 685 ლარის მითვისებაში.

დღეს მეცნიერებაში არსებული ყველაზე ზუსტი მათემატიკური სიზუსტით უტყუარად დამტკიცებულია, რომ ცილი დასწამეს და ხაფანგი დაუგეს ფარმაცევტულ წარმოება „სალხინოს“. თუ მათემატიკურ სიზუსტეს უაზყოფს ქართული სასამართლო მაშინ სად არის სამართალი?

მომჩივანი ახერხებს დაბნეულობა შეიტანოს სასამართლო სისტემაში, შეიკეროს 600 გვერდიანი საქმე და ამ ქმედებით ასეულობით ათასი ლარის მოგება მიიღოს. სინამდვილეში კი კანონის უზენაესობის მოთხოვნის საფუძველზე შესადარებელია ორი მტკი-

ცებულება: რამდენი ლარი გადაურიცხა მომჩივანმა მოპასუხეს, შესაბამისად რამდენი ლარის ღირებულების პროდუქცია მიანოდა მოპასუხემ.

საქმეში დაცული სასაქონლო ზედნადებების საფუძველზე მოპასუხეს შპს „სალხინო“-ს მომჩივანისთვის „ფარმაცევტული სახლი +“-სთვის მიწოდებული აქვს 1065034 ლარის ღირებულების პროდუქცია. საქმეში დაცული საბანკო ქვითრების საფუძველზე მომჩივანს, „ფარმაცევტული სახლი +“-ს მოპასუხისთვის გადმორიცხული აქვს 1009960 ლარი.  $1065034 - 1009960 = 55074$  შესაბამისად ბუღალტრული მონაცემებით დგინდება, რომ „ფარმაცევტული სახლი +“-ს შპს. „სალხინო“-სთვის აქვს გადასახდელი დავალიანება 55074 ლარი, რასაც აუდიტის სამსახურიც ადასტურებს.

№2/3317-14 გადაწყვეტილების გვ. 5, თანდართულ ყურნალში 19-ე გვერდი პირველი აბზაცი მათემატიკური ქაოსია და მეტი არაფერი, აღნიშნული აბზაციდან რაიმე დასკვნის გამოტანა ყოვლად შეუძლებელია, თუ ადამიანი არ გაიზიარებს იმ შემოსავალს, რასაც მომჩივანი მხარე იღებს არნიშნული სასამართლოს მიერ ემპირიულად დაწერილი გადაწყვეტილებით, ვინაიდან ის არის კარგად მოფიქრებული ცილისწამება და აფიორა, რაც ნიშნავს იმას, რომ სასამართლოს გამოყენებით დამნაშავეებმა მიითვისონ ასეულობით ათასი ლარის ქონება და შესაბამისად გაანადგურონ ადგილობრივი ნედლეულიდან წარმოებული მედიკამენტების მრეწველობა. ამიტომ 20.03.2015 წლის №2/3317-14 გადაწყვეტილება ბათილად უნდა იქნას ცნობილი, თუ არსებობს ქვეყანაში სამართლის და ადამიანის უფლების დაცვის სამართლებრივი ნორმების ამლიარებელი უფლებამოსილი პირები, რომლებიც მავანთ გაუბედავენ კანონიერ საფუძველს მოკლებული გადაწყვეტილების ბათილად ცნობას და ახალი გადაწყვეტილების მიღებას.

გთხოვთ მტკიცებულებად მიიღოთ თანდართული ყურნალი, აიყვანეთ ეს საქმე პირად კონტროლზე და გამონახეთ გამოსავალი იმისთვის, რომ გონივრულ ვადაში აღიკვეთოს აღნიშნული დანაშაული, რომელიც დღესაც ანადგურებს ფარმაცევტულ წარმოებას და უსაფუძვლოდ ამდიდრებს დამნაშავეებს. №2/3317-14 გადაწყვეტილების ბათილად ცნობა აუცილებლად ამხელს დამნაშავეებს და აიძულებს მათ აღიარონ თავიანთი დანაშაული. იძუ-



ლებულნი გახდებიან შეწყვიტონ სხვისი ქონების მითვისება და განადგურება.

ფაქტია, რომ დამნაშავეებმა ჭამის ნორმად იქციეს აღნიშნული გადანყვეტილების საფუძველზე გაცემული საალსრულებლო ფურცელი და ტყავს გვაძრობენ, თავად კი ზეიმობენ, ვინაიდან მათ დამკვეთებისგან ალბათ მიიღეს სოლიდური შემოსავალი წარმოების გასანადგურებლად. მიითვისეს 102 420 ლარის ღირებულების პროდუქცია.

აუდიტის მიერ შეფასებული სალხინოს 500 000 ლარზე მეტის ღირებულების ქონება, შეიძინეს 19 600 ლარად აუქციონის გზით და გაინაწილეს. დაყადაღებული აქვთ დანარჩენი ქონება და აუქციონის გზით ყიდიან. 200 000 ლარის ინკასო უდევთ სალხინოს ანგარიშებზე და ანადგურებენ უნიკალური ნამლების წარმოებას, რაც მათი მიზანია აღსრულებლის ეროვნული ბიუროს გამოყენებით.

დღეს მოაზროვნე საზოგადოება გაერთიანდა და ებრძვის დაავადების გამომწვევ მიზეზს საქართველოში კი დამნაშავეები ბლოკავენ უნიკალური რეცეპტებით დამზადებულ ნამლებს სასამართლო სისტემის გამოყენებით, პირიდან ართმევენ ავადმყოფებს სამკურნალწამლო საშუალებებს და ანადგურებენ ფიტო მრეწველობას. ეს ფაქტია და ამის ერთ-ერთი მტკიცებულება არის მოსამართლის ლევან გვარამიას ეშმაკურად დაწერილი №2/3317-14 გადანყვეტილება და ამის უარყოფა ყოვლად შეუძლებელია.

აღნიშნული დანაშაულის აღმოფხვრის მიზნით, ჩვენ მივმართეთ უზენაესი სასამართლოს ახალ თავჯდომარეს ქალბატონ ნინო ქადაგიძეს აღნიშნული შინაარსის კერძო საჩივრით. პასუხად მივიღეთ, რომ ჩვენი საქმე შემდგომი რეაგირებისთვის ქვემდებარებით გადაეგზავნა საქმის განმხილველ სასამართლოს. თუ რა შედეგი მოყვება ამას უცნობია. შეიძლება წლები დაჭირდეს აღნიშნული დანაშაულის შეჩერებას, ვინაიდან დამნაშავეები ფინანსურად უზრუნველყოფილნი გახდნენ და მათ ზურგს უმაგრებს გავლენიანი მოსამართლე. ამიტომ მოგმართავთ დახმარებისთვის, რომ გავარჩინოთ სამედიცინო პრაქტიკაში სამკურნალო ეფექტიტგამორჩეული ფიტო მრეწველობა.

გთხოვთ, გამონახეთ გამოსავალი და შეაჩერეთ აღნიშნული ძალადობა თქვენი შესაძლებლობების ფარგლებში, აღნიშნულ შემთხვევაში საჭიროა 2015 წლის ბუნდოვანი და ორაზროვანი №2/3317-14 გადანყვეტილების ბათილად ცნობა, მასში არსებული გამოგონილი ბრალდებების გამო.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულის მტკიცების საფუძველს გვაძლევს სასამართლოში დაცული საქმის მასალები, რომელიც გამოვითხოვეთ და ავკინძეთ თანდართულ დოკუმენტურ ჟურნალში – საქართველო თვითყოფადობით დიდია გადავარჩინოთ ეს სიდიადე, რომელიც ასევე განთავსებულია ვებ-გვერდზე: <http://www.pherdi.ge>.

ჟურნალში მოკლედ არის აღწერილი ქართული მედიცინის ისტორია და შესაძლებლობები.

კიდევ ერთხელ გთხოვთ, დროულად შეაჩერეთ მიმდინარე დანაშაული და მოგვეცით საშუალება ვანარმოოთ ნამლები.



## ჯანმრთელობის დაცვის ძირითადი საშუალება იყო, არის და დარჩება ბუნება

მსოფლიოს ჯანმრთელობის ორგანიზაცია აღიარებს, რომ სრულფასოვანი სამედიცინო მომსახურება შეუძლებელია ხალხური მედიცინის, ტრადიციების აღდგენის, დანერგვის განვითარების და მომავალში მისი შენარჩუნების გარეშე. საქართველოში შესწავლილი სამკურნალწამლო საშუალებები არსებობს, რომლებსაც გააჩნიათ ისეთი შედეგები, როგორსაც მსოფლიო მედიცინა ეძებს.

სამედიცინო პრაქტიკაში დანერგილი მკურნალობის მეთოდებიდან ტრადიციული ხერხით დამზადებული წამლები გამოირჩევა იმით, რომ ისინი ბუნებრივი, ძლიერ მოქმედი, უვნებელი წამლებია, მოქმედებენ დაავადების გამომწვევ მიზეზებზე, როგორც ანტიბიოტიკები და ამავდროულად გამოირჩევიან სამკურნალო თვისებებით, ეს ორი აუცილებელი თვისება დიდი ალბათობით იძლევა გარანტიას ამა თუ იმ დაავადებული ორგანოს ან ორგანოთა სისტემის განკურნებას.

ფარმაკოქიმიის მიღწევებმა გაზარდა ქიმიური სამკურნალო საშუალებათა რიცხვი. უკანასკნელ წლებში შეიმჩნევა ექიმთა და მკვლევართა დაინტერესება მცენარეული წარმოშობის პრეპარატების მიმართ. 2009 წლის დეკემბერში მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის კონგრესზე კიდევ ერთხელ გაესვა ხაზი მსოფლიო მედიცინის აღიარებულ კლინიკებში ახალ-ახალი მიმართულებებით კვლავ გაგრძელდეს ფიტოთერაპიული წამლების კვლევა, რადგან ბევრი მათგანის წინაკლინიკური და კლინიკური კვლევები იმედისმომცემი და რეალურია. არსებობენ ფიტოპრეპარატები, რომლებსაც ორგანიზმის დაზიანების გარეშე შეუძლიათ მოავარონ ჯანმრთელობასთან არსებული პრობლემები. მსოფლიოში, საქართველო ერთ-ერთი წამყვანი სახელმწიფოა, რომელიც ისტორიულად ფლობს წამლების დამზადების საიდუმლოს და საავტორო უფლებებს.

დარწმუნებული ვართ, საქართველოს მოსახლეობის თვითმყოფადობის უზრუნველსაყოფად და საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობის დროულად გამოსასწორებლად, ტრადიციული ხერხით დამზადებული წამლები, რომლებიც მეტად ორიგინალური და მოთხოვნადია ჩვენს ქვეყანას ძალიან წაადგება.

P.S. თუ რა სიკეთეს კარგავს აღნიშნული დანაშაულის გამო მოსახლეობა შეგიძლიათ იხილოთ დოკუმენტური ფილმი ვებ-გვერდზე [www.pherdi.ge](http://www.pherdi.ge), სადაც აგრეთვე განთავსებულია აქრუნალი „საქართველო თვითმყოფადობით დიდია, გადავარჩინოთ ეს სიდიადე“.

ISBN 978-9941-9685-8-7

